

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული
კანონის პროექტზე

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებებსა და დამატებებს მოქმედ საარჩევნო კოდექსში და უკავშირდება თბილისის საკრებულოს არჩევნის წესის ცვლილებას.

აღნიშნული კანონპროექტი რეალურად წარმოადგენს „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით მომზადებული კანონპროექტის თანმდევ პროექტს და აზუსტებს თბილისის საკრებულოს დაკომპლექტების წესს.

წარმოდგენილი პროექტით თბილისის საკრებულოს 37 წევრიდან 25 აირჩევა მრავალმანდატიან ადგილობრივ საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული წესით, ხოლო 12 პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ მიღებული ხმათა საერთო რაოდენობის შესაბამისად.

პროექტით ასევე დგინდება ადგილობრივ საარჩევნო ოლქებში მანდატების რაოდენობა განისაზღვრის წესი, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, აგრეთვე საინიციატივო ჯგუფების მიერ კანდიდატების წარდგენისა და არჩევნების შედეგების შეჯამების, პარტიული სიების რეგისტრაციის, საკრებულოს წევრთა არჩევნისა და გამოკლებულ წევრთა ჩანაცვლების წესი.

წარმოდგენილი ცვლილებებით სრულდება ის საკანონმდებლო პროცესი, რომელიც მთლიანად დაარეგულირებს საქართველოს დედაქალაქში თვითმმართველობის ფორმირების საკითხებს.

კანონპროექტი არ იწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია საქართველოს პრლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი.